N655 2015 წლის 30 დეკემბერი ქ. თბილისი

„სამხედრო სადისციპლინო წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 ნოემბრის №615 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სამხედრო სადისციპლინო წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 ნოემბრის №615 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 05.11.2014, 120050000.10.003.018235) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული წესდების:

1. 25-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 25. მორიგი სამხედრო წოდების ვადამდე მინიჭება

მორიგი სამხედრო წოდების ვადამდე მინიჭება, როგორც წახალისების სახე, შეეფარდება სამხედრო მოსამსახურეს ამ წესდებით განსაზღვრული წესით.“.

2. 118-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 118. განსაკუთრებული დამსახურება

სამხედრო მოსამსახურე, რომელიც სამხედრო სამსახურის გავლის პერიოდში წახალისებულია წესდების 116-ე და 117-ე მუხლების შესაბამისად ან განსაკუთრებული წვლილი აქვს შეტანილი საქართველოს შეიარაღებული ძალების აღმშენებლობის პროცესში, შესაბამისი უწყების ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია, წახალისდეს მორიგი სამხედრო წოდების ვადამდე მინიჭებით.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**